სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო
დადგენილება № 01-05-04/158

ქ. თბილისი 28 ივნისი 2019

სტუ-ის სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტზე კონკურსის გამოცხადების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლის, სტუ-ის სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის დეკანის, პროფ. ო. გელაშვილის მოხსენებითი ბარათისა და აკადემიური საბჭოს 2019 წლის 28 ივნისის №01-05-02/14 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. გამოცხადდეს აკადემიური კონკურსი სტუ-ის სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის პოლიგრაფიისა და მსუბუქი მრეწველობის ტექნოლოგიების დეპარტამენტის №78 და №79 საგანთა ჯგუფებზე პროფესორის 2 საშტატო ერთეულზე 400-საათიანი დატვირთვით;
2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **ა. ფრანგიშვილი**

აკადემიური საბჭოს მდივანი **გ. სალუქვაძე**